

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად.

ქ.ბათუმი

_____წ.

ერთი მხრივ, ----- (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით და მეორე მხრივ, ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის ----- სატენდერო წინადადების საფუძველზე (NAT -----) ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: სტრუქტურული მასალები - სენდვიჩ-პანელის კონტეინერების (მონტაჟით) შესყიდვა. ინფორმაცია საქონლის დასახელების, ტექნიკური მახასიათებლების, რაოდენობისა და ერთეულის ღირებულების შესახებ მოცემულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ფასთა ცხრილში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი N1 -- ფურცელი).

2.2. შესყიდვის საშუალება: ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT) -----.

2.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს _____ ლარს, მათ შორის: ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.4. კლასიფიკატორის კოდი: CPV-44200000 - სტრუქტურული მასალები.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება/მონტაჟის ვადა: ხელშეკრულების დანართი N3-ის (ფასების ცხრილი)შესაბამისად.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება/მონტაჟის ადგილი: ხელშეკრულების დანართი N3-ის (ფასების ცხრილი)შესაბამისად.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტისმიწოდება მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტების, წესებისა და მოთხოვნების დაცვით.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2. შესრულებულ სამუშაოებზე, გამოყენებულ მასალებზე, საგარანტიო ვადა განისაზღვრება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელის განმავლობაში.

4.3. ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ასევე მისი მოქმედების დასრულების შემდგომ, საგარანტიო ვადის პერიოდში აღმოჩენილი ხარვეზის ან/და ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროს იგი ან შეცვალოს ახალი შესყიდვის ობიექტით, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

4.4. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების

გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

5.3. შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიწოდების კონტროლს ახდენს სისტემატიურად, საკუთარი შეხედულებისამებრ. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით - შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

5.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“ შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6.4. იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით. მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში) წარმოდგენის შემდეგ, თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან შესყიდვის ობიექტის შესახებ მისთვის საჭირო დოკუმენტი;

გ) საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს მოწოდებული საქონლის ექსპერტიზა შესაბამისი სამსახურის მეშვეობით. ექსპერტიზასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდეს მიმწოდებლის მიერ;

8.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ფასების ცხრილის (დანართი #1) შესაბამისად;

გ) შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია;

დ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტში – სტაციონარული და ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათებში ინფორმაციის ცვლილება (შემსყიდველის შეხედულებისამებრ – ტექსტური, სტილისტური, რაოდენობრივი და სხვა), შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, შესყიდვის ობიექტის ღირებულების ზრდის გარეშე;

ე) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდება გარანტიის მოქმედების ვადაში, დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ნაკლი ან შეცვალოს იგი ახალი, ხარისხიანი საქონლით შეტყობინებიდან არაუგვიანეს 3 (სამი)კალენდარული დღის ვადაში.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი;

9.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს;

9.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას, ნაწილობრივ შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები;

10.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შესყიდვის ობიექტის (ნაწილის) მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 ლარისა;

10.3. მიმწოდებლის მიზეზით, ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების (შესყიდვის ობიექტის ნაწილის არასათანადო ხარისხით ან სხვა პირობების დარღვევისათვის) შემთხვევაში, მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 7%-ს ოდენობით;

10.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტა განხორციელდა მე-11 მუხლის 11.1. პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებისა და 11.2. პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით;

10.5. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა მიმწოდებლის მიერ გადახდილი უნდა იქნას აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, შემსყიდველის გადაწყვეტილებით პირგასამტეხლოს თანხის დაკავება შესაძლებელია განხორციელდეს მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი ღირებულებიდან;

10.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.7. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მე-4 მუხლის 4.2. პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ასანაზღაურებელი თანხის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

11.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) იმ შემთხვევაში, თუ მე-10 მუხლის 10.2. პუნქტის შესაბამისად განხორციელებული საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადაჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 %-ს;

ბ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.5. პუნქტის დარღვევის შემთხვევაში;

გ) თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის“ ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე;

დ) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი, სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე, (რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველ ორგანიზაციასთან) ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

ვ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მე-6 ან მე-7 მუხლის პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისას ან/და მე-8 მუხლის 8.4 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში;

ზ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

თ) შემსყიდველი უფლებამოსილია 2021 წლის ნებისმიერ პერიოდში, ორგანიზაციის სხვადასხვა ინტერესებიდან გამომდინარე, ცალმხრივად შეწყვიტოს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება, აღნიშნული გადაწყვეტილება მიმწოდებელს ეცნობება ხელშეკრულების შეწყვეტამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე;

11.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდება, მე-6 მუხლის 6.3. პუნქტით განსაზღვრული ვადას გადაჭარბებს 10 (ათი) ან მეტი დღით, შემსყიდველის მხრიდან განხორციელდება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა;

11.3. ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება შემსყიდველის მიერ, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გაგზავნილი შეტყობინების მიმწოდებლისათვის ჩაბარებისთანავე.

11.4. ამ მუხლის 11.1 და 11.2. პუნქტში მითითებულ შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება, მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის გადახდის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი ცვლილებების გარდა;

12.2. წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო თუ წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ნებისმიერი ინფორმაცია ცვლილების შესახებ და ცვლილება ხელშეკრულებაში შეტანილად ჩაითვლება მეორე მხარის მიერ ცვლილებაზე ხელმოწერის შემდეგ;

12.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ;

12.4. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით;

12.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

12.6. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ფორს-მაჟორი (დაუძლეველი ძალა)

13.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, საომარი მოქმედებებით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2. თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე, რომელიც ხელმოწერილია/დამოწმებულია მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ელექტრონული ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ---წლის --- ----- ჩათვლით.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“